ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2017 წლის 25 მაისის სხდომის

ოქმი № 3

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 22.

დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
2. "მედიაფსიქოლოგიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება
   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. ცვლილებები სადოქტორო პროგრამებში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
5. ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
6. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა დასამტკიცებლად წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი.

აზრი გამოთქვეს : რ. ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი (იხ. დანართი).

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაცია, რომ პროფ. მ. გერსამიას მიერ მომზადებული სამაგისტრო პროგრამა "მედიაფსიქოლოგია" სრულყოფილადაა შესრულებული და იგი დასამტკიცებლად წარადგინა.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ვ. მელიქიძემ, ა. ბერძენიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამა "მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაცია" და განსახილველად გადაეცეს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი მსვლელობისთვის.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ცვლილებები, რომლებიც სადოქტორო პროგრამებში უნდა შევიდეს საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ, ახალი წესით, სადოქტორო კოლოკვიუმებით გათვალისწინებული შეფასება (20 და 20) გადადის სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვისთვის განკუთვნილ შეფასებაში (სულ 140 ქულა), ხოლო კოლოკვიუმი ფასდება შემდეგნაირად:

"ფრიადი"

"ძალიან კარგი"

"კარგი"

"დამაკმაყოფილებელი"

არადამაკმაყოფილებელი"

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები სადოქტორო პროგრამებში წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესის პროექტი

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. ბელქანიამ, ა. კუხიანიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის

გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესი (იხ. დანართი)

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანის, თ. დოლბაიას ინფორმაცია ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნების შესახებ. ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი: "კავკასია, გარემო და საზოგადოება" სამი ფაკულტეტის (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტები) ბაზაზე იქმნება. თ. დოლბაიამ დამსწრეთ გააცნო ჟურნალის მიზნები და ამოცანები, მისი სარედაქციო კოლეგია. აღნიშნა, რომ წარმატების შემთხვევაში, ჟურნალს ექნება პერსპექტივა, იქცეს საუნივერსიტეტო გამოცემად.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. ბელქანიამ, მ. გერსამიამ, ა. კუხიანიძემ, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: დაფუძნდეს ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო ჟურნალი "კავკასია: საზოგადოება და გარემო" და დამტკიცდეს სარედაქციო საბჭო.

მოისმინეს: 6. ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ - წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა.

აზრი გამოთქვეს : ნ. ბელქანიამ, ზ. დავითაშვილმა, მ. წერეთელმა და სხვ.

ნ. ბელქანიამ აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის ჩარჩოს წარმოდგენილი მოდელი კრიტიკას ვერ უძლებს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების აუცილებლობა ადრეც დააფიქსირეს, მაინც არ იქნა გათვალისწინებული.

ფაკულტეტის დეკანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, აპირებს ფაკულტეტის სახელით მოამზადოს დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა შენიშვნა და წარუდგინოს იგი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

დაადგინეს: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით, ფაკულტეტის სახელით მომზადდება შენიშვნების დოკუმენტი.

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა წარმოადგინა მიმდინარე საკითხები. მათ შორის, ინფორმაცია მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო პროექტის "სახელმძღვანელოების კონკურსის" შესახებ (დეკანის ბრძანება № 9/2017). პროექტი ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო საგნების სახელმძღვანელოების შექმნა/განახლებას ითვალისწინებს. ამ მიზნით, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 20 ათასი ლარი. თ. დოლბაიამ იმედი გამოთქვა, რომ პროექტი წარმატებული აღმოჩნდება, ხოლო მომდევნო წლის იანვრიდან

დაფინანსება გაიზრდება. მან დამსწრეებს წარუდგინა სახელმძღვანელოების შესარჩევი კომისია, რომელიც შერჩევის კრიტერიუმებზე იმსჯელებს.

თ. დოლბაიამ მიმდინარე საკითხების რიგში დამსწრეებს გააცნო სიახლე e-print –ის პროგრამის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პროფესორთა სტატიების მათი სურვილისამებრ, ხილულად - ონლაინგანთავსებას.

ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ცნობა ყოველწლიური საფაკულტეტო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამზადისის შესახებ. მან განაცხადა, რომ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა შვიდმა 10 უხცოელმა და 22 ადგილობრივმა მომხსენებელმა.

ასევე, განისაზღვრა გარე მობილობის კვოტები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

25 აპრილი, 2017 წ.

ფაკულტეტის დეკანი

თამარ დოლბაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი

1. ალექსანდრე კუხიანიძე
2. მალხაზ მაცაბერიძე
3. გია ჟორჟოლიანი
4. ნანა მაჭარაშვილი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

1. ვალერიან მელიქიძე
2. ნინო პავლიაშვილი
3. მარინა ბოკერია
4. გიორგი გოგსაძე

სართაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

1.ზურაბ დავითაშვილი
2 სერგი კაპანაძე
3 ფიქრია ასანიშვილი
4 თორნიკე თურმანიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

1.იაგო კაჭკაჭიშვილი
2.ამირან ბერძენიშვილი
3.ნინო დურგლიშვილი
4.თამარ მახარაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

1.მარიამ გერსამია
2.დალი ოსეფაშვილი
3.მანანა შამილიშვილი
4.ნანა ტალახაძე
5.მარი წერეთელი

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

1.რევაზ ჯორბენაძე
2.ნოდარ ბელქანია
3.ზურაბ აბაშიძე
4.თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

ტარიელ ირემაძე
ალისა სულამანიძე
ანნა ჯაყელი
მარიამ ეგეტაშვილი
მარიამ ლაცაბიძე
ელენე ლომსაძე
ანნა ცქიტიშვილი
გიორგი გოგატიშვილი
დიმიტრი სანაია

დანართი #1

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის
წესი

1. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს, გამონაკლის შემთხვევაში ერთობლივ შემოქმედებით პროექტს, რომლის ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

ნაშრომში უნდა აისახოს სწავლების მოცემულ საფეხურზე შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კერძოდ, სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის, ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.

სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია კომპლექსური ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და შეფასება. ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.
სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი, ემერიტუსი და ფაკულტეტზე მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შერჩევის პროცესს.

3. სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა

მეოთხე/დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, მაგისტრანტი სასწავლო ბარათში (sms.tsu.ge) აფიქსირებს თავის არჩევანს და რეგისტრირდება საგანზე: „სამაგისტრო ნაშრომი“ (შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მითითებით). სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში მაგისტრანტთა სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო სათაურები და ხელმძღვანელების კანდიდატურები გადაეცემა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ფაკულტეტის ვებგვერდზე ასატვირთად.

4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა ქართულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სწავლება მიმდინარეობს სხვა ენაზე). ნაშრომს თან უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე (თითოეული 300 სიტყვა).

უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება.

5. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ✓ თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
- ✓ ანოტაცია (ქართულ და უცხო ენებზე თემის სათაურის მითითებით);
- ✓ სარჩევი (შინაარსი);
- ✓ შესავალი;
- ✓ ტექსტის ძირითადი ნაწილი;
- ✓ დასკვნა;
- ✓ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- ✓ დანართები (არსებობის შემთხვევაში).

სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი. დეტალური ინფორმაცია თითოეული კომპონენტის დიზაინის შესახებ იხილეთ დანართ #1-ში.

6. პლაგიატი

ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) არის პლაგიატი.

მეცნიერებაში პლაგიატი არის ნებით თუ უნებლიედ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღება. ეს „იდეები“ შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით.

ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები და სხვ.

პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული, ან უყურადღებობით დაშვებული. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში მაგისტრანტი დაცვაზე არ დაიშვება. მან უნდა აიღოს დამატებითი სემესტრი ახალი ნაშრომის მოსამზადებლად.

7. **სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა**

ა) ნაშრომის წინასწარი დაცვა და რეცენზირება:

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე ინიშნება მისი წინასწარი დაცვა, რომლის შედეგიც ფიქსირდება წინასწარი დაცვის ოქმით.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე, სულ მცირე, ერთი თვით ადრე ნაშრომის სრული ვერსია წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დეპარტამენტის სხდომაზე წინასწარი განხილვისთვის.

წინასწარი დაცვის შემდგომ, პროგრამის ხელმძღვანელი გამოყოფს სამაგისტრო
ნაშრომის რეცენზენტს. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი მიაწოდებს სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტთა სიას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

რეცენზენტი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუსი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირი.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სამაგისტრო ნაშრომის ხელძღვანელს და რეცენზენტს ნაშრომს გაუგზავნის დაცვამდე 10 დღით ადრე, ხოლო ხელმძღვანელი და რეცენზენტი დაცვამდე 3 დღით ადრე დასკვნას/რეცენზიას წერილობითი ფორმით უბრუნებენ ადრესატს, რომელშიც ისინი აფასებენ მაგისტრანტის მუშაობას/ნაშრომსწინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

ბ) სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო
დაცვა

წინასწარი განხილვის შემდეგ, დაცვამდე მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას ატვირთავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ამ მიზნით გამოყოფილ ბმულზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/hccla0ixc_o-h_tgp/mastprograms/80f2opg3c7j7bqwan//).

დაცვამდე 10 დღით ადრე ვებ–გვერდი იხურება, აუტვირთავი სამაგისტრო ნაშრომი აღარ განიხილება და მაგისტრანტი დაცვაზე არ დაიშვება.

მაგისტრანტმა აკინძული სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს დაცვაზე (ყდაში ჩასმული ან აკინძული ზამბარაზე).

ნაშრომის ელექტრონული ვერსია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებთან ერთად, ეგზავნება კომისიის წევრებს.

წინასწარი დაცვისა და საჯარო დაცვის გრაფიკი მიეწოდება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, დაცვის პროცესში ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ჩართვის მიზნით.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის/დეკანის ბრძანებით
დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან.

კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელიც, მაგრამ ის არ მონაწილეობს მის ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომის პრეზენტაციის შეფასებაში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მისი მუშაობის, ნაშრომის და საჯარო დაცვის შეფასება დააკმაყოფილებს წინასწარ დადგენილ მინიმალურ ზღვარს და საბოლოო ჯამში შეადგენს არანაკლებ 51 ქულას.

სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

ოქმს თან უნდა ერთვოდეს რეცენზია, ხელმძღვანელის დასკვნა და კომისიის მიერ შევსებული შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

დაცვიდან ორ სამუშაო დღეში ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, მაგისტრანტის სასწავლო ბარათში შეფასების ქულის შესატანად.

სამაგისტრო ნაშრომი თანდართული ხელმძღვანელის და რეცენზენტის დასკვნებით, ექვემდებარება დაარქივებას თსუ– ში დადგენილი წესის მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (მედია და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის გარდა)

I ნაშრომის შეფასება **(ფასდება რეცენზენტის მიერ)**	**მაქსიმუმ 40 ქულა** **(მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება თუკი რეცენზენტი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 21 ქულით)**
ა) აქტუალობა (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე	მაქსიმუმ 5 ქულა
ბ) კვლევის მეთოდოლოგია (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა)	მაქსიმუმ 10 ქულა
გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მდიდარი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის ცოდნა, მისი წვლილი საკითხის შესწავლაში პრაქტიკული ან თეორიული თვალსაზრისით)	მაქსიმუმ 10 ქულა
დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი ტექსტიდან)	მაქსიმუმ 10 ქულა
ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე (ფასდება წარმოდგენილი მასალის კორექტურული და სტილისტური სისწორე, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმება, სტანდარტებთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა)	მაქსიმუმ 5 ქულა
II მაგისტრანტის სამაგისტროზე მუშაობის პროცესის	**მაქსიმუმ 20 ქულა (მაგისტრანტი დაცვაზე**

შეფასება **(ფასდება ხელმძღვანელის მიერ)**	**დაიშვება თუკი ხელმძღვანელი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 10 ქულით)**
ა) ხელმძღვანელთან კომუნიკაცია (ფასდება ხელმძღვანელთან კომუნიკაცია, ხელმძღვანელის მიერ მიცემული რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინება, დროის მენეჯმენტი)	მაქსიმუმ 10 ქულა
ბ) მაგისტრანტის დამოუკიდებლად მუშაობის უნარი (ფასდება მაგისტრანტის მოტივაცია, თემით და კვლევის პროცესის მიმართ ინტერესი, დამოუკიდებლად კვლევის წარმართვის უნარი, რელევანტური და მრავალფეროვანი ლიტერატურის მოძიებისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი)	მაქსიმუმ 10 ქულა
III. პრეზენტაციის შეფასება **(ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცის დროს)**	**მაქსიმუმ 40 ქულა (ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუკი მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 20 ქულას)**
ა) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე ფასდება ზეპირი პრეზენტაციის შინაარსობრივი გამართულობა, სტრუქტურა, გამოყენებული მეთოდები, ანალიზის ადეკვატურობა, დასკვნების (საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების) გამართულობა	მაქსიმუმ 10 ქულა
ბ) არგუმენტირების და დასკვნის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი, დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების სისწორე და ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი მსჯელობიდან)	მაქსიმუმ 10 ქულა
გ) ნაშრომის ვიზუალური მხარე და მომხსენებლის საპრეზენტაციო უნარი (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების წარმოდგენის ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი; წახალისდება პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები...)	მაქსიმუმ 10 ქულა
დ) კომუნიკაციის უნარი (ფასდება კომისიის წევრებისა და აუდიტორიის კითხვებზე პასუხი და შენიშვნებზე კომენტარები, მათ შორის რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე)	მაქსიმუმ 10 ქულა

„მედია და ახალი ტექნოლოგიების პროგრამის“

სამაგისტრო პროექტის შეფასების

კრიტერიუმები:

1. სამაგისტრო პროექტის შეფასება რეცენზენტის მიერ	**მაქს. 40 ქულა**
1.1. კვლევითი კომპონენტი: ➢ აქტუალობა და სიახლე - 8 ქულა; ➢ ანალიზისა და დასკვნის უნარი - 8 ქულა; ➢ ენა და სტილი - 4 ქულა	20 ქულა
1.2. პრაქტიკული პროდუქტი: ➢ შინაარსობრივი მხარე - 7 ქულა ➢ ობიექტურობა და ფაქტობრივი მასალის სიზუსტე - 7 ქულა ➢ ინფორმაციის წყაროები - 3 ქულა ➢ ენა და სტილი - 3 ქულა	20 ქულა
2. ხელმძღვანელის შეფასება	**მაქსიმუმ 20 ქულა (მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება თუკი ხელმძღვანელი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 10 ქულით)**
2.1 ხელმძღვანელთან კომუნიკაცია (ფასდება ხელმძღვანელთან კომუნიკაცია, ხელმძღვანელის მიერ მიცემული რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინება, დროის მენეჯმენტი)	მაქს. 10 ქულა
2.2. მაგისტრანტის დამოუკიდებლად მუშაობის უნარი (ფასდება მაგისტრანტის მოტივაცია, თემით და კვლევის პროცესის მიმართ ინტერესი, დამოუკიდებლად კვლევის წარმართვის უნარი, რელევანტური და მრავალფეროვანი ლიტერატურის მოძიებისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი)	მაქს. 10 ქულა
3. ნაშრომის წარდგენა **(**პრეზენტაცია**)** **(**ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცვის დროს**)**	**მაქსიმუმ 40 ქულა (ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუკი მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 21 ქულას)**

3.1 პრეზენტაციის ვერბალური მხარე ➢ მასალის ფლობა –10 ქულა ➢ ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი –5 ქულა ➢ აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10 ქულა ➢ კამათისა და დაცვის უნარი - 10 ქულა	მაქს. 35 ქულა
3.2 ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	მაქს. 5
3.3 ნაშრომის საბოლოო შეფასება რეცენზენტის ქულა + კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასება	მაქსიმუმ 100 ქულა (დადებითი შეფასება მინიმუმ 51 ქულა)

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტული ფურცელი); ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე თემის სათაურის მითითებით);
2. სარჩევი (შინაარსი);
3. შესავალი;
4. ტექსტის ძირითადი ნაწილი;
5. დასკვნა;
6. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
7. დანართები (არსებობის შემთხვევაში).
8. სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) – ივსება მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით:

- ფურცლის თავში უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების
- სრული დასახელება, სადაც შესრულდა სამაგისტრო ნაშრომი (შრიფტის ზომა 18)
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დასახელების ქვევით, 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა 16);
- შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა 16) (მას არ მიეწერება სიტყვა "თემა" და ბრჭყალებში ჩასმას არ საჭიროებს);
- სათაურის შემდეგ იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა 14);
- სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (შრიფტის ზომა 14) (მაგ: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარესთან მიეთითება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, წოდება, აკადემიური თანამდებობა;
- სულ ქვემოთ შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი/ქალაქი და წელი ციფრებით.

ანოტაცია - აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი,

ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 300 სიტყვა; უნდა დაიწეროს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე თემის სათაურის მითითებით. უცხოენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს თემის დასახელებას, ავტორის გვარს და ინიციალებს. ჯგუფური პროექტის შესრულებისას ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

შინაარსი (სარჩევი) – ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა მოხდეს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შედარებითი ანალიზი - რითი განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. შესავლის მოცულობა, სასურველია არ აღემატებოდეს 2-3 გვერდს.

ტექსტის ძირითადი ნაწილი - ძირითადი ტექსტი იყოფა თავებად და პარაგრაფებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად და დასახელებისგან გამოიყოფა წერტილებით. პარაგრაფს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები. შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან. თავის დასახელება იწერება 16-იანი ზომი შრიფტით.

დასკვნა – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს, რომელშიც მოკლედ აისახება კვლევის შედეგების თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივები.

გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები: სამაგისტრო ნაშრომი უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (იხილეთ ბმული: http://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/books).

გაფორმება

- სამაგისტრო ნაშრომი აკრეფილი უნდა A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის 1997–2003 ვერსიის ფორმატში (doc. გაფართოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს MA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: MA Thesis.Kapanadze);
- შესაძლო შრიფტის სახე – Sylfaen, Times New Roman;
- შრიფტის ზომა – 12 (Times New Roman, Sylfaen);
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან – 2,5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 40 გვერდისა, ხოლო ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, არანაკლებ 70 გვერდისა გრაფიკების, ცხრილებისა და სხვა ვიზუალური მასალის გარეშე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესი

მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების /მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების შერჩევასთან დაკავშირებული რეგულაციების განსაზღვრა.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებისწინაპირობები

1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/ საბაკალავრო პროგრამაზე აბარებს გამოცდას - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში.
2. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი /სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
3. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით აბარებს - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენას.
4. გამოცდა ენაში/ენებში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51 ქულას).
5. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი კომისია.

6. მაგისტრანტობის კანდიდატი/მაგისტრანტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე.

7. მაგისტრატურაში მიღების პირობები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების გათვალისწინებით.

8. ფაკულტეტის მიერ ინფორმაცია პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და კონკურსის გავლის შემთხვევაში წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.

9. ფაკულტეტის წარდგინება ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულ ორ ან მეტ პირზე გაიცემა ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.

მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა

1. ერთიანი ეროვნული /საერთოსამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო /სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩასარიცხთათვის გამოცდების ჩატარების ვადად განისაზღვროს ივლისის თვე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში ჩასარიცხთათვის - იანვრის თვე.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდების ჩატარების ვადად ასევე განისაზღვრება საერთო სამაგისტრო გამოცდაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგამოცდო პერიოდი.

3. იმ აბიტურიენტის /სტუდენტის/ მაგისტრანტობის კანდიდატის, რომელიც წარმოადგენს ენის/ენების ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული, ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ენის/ენების გამოცდიდან განთავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტი /სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატისთვის გამოცდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში ჩატარდება საბუთების მიღების დამთავრებიდან 1 კვირის ვადაში.

5. ენის/ენების გამოცდის ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას უზრუნველყოფს თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ტესტის სისწორესა და გამოცდის შეფასების სიზუსტეზე.

6. გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი.

დანართი #3

ინტერდისციპლინური ჟურნალი *კავკასია: გარემო და საზოგადოება,* არის ღია ხელმისაწვდომობის, რეცენზირებადი სამენოვანი ელექტრონული გამოცემა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების პროფესორთა და უცხოელ პარტნიორთა ძალისხმევით დაფუძნდა.

ჟურნალის პრიორიტეტული საკვლევი არეალია შავი და კასპიის ზღვების აუზების ქვეყნების ბუნებრივი გარემო და საზოგადოების განვითარება.

ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს საზოგადოების და ბუნების განვითარების ინტერდისციპლინურ კვლევათა პოპულარიზაციას; გახდეს წამყვანი რეგიონული სამეცნიერო გამოცემა; დააკავშიროს ერთმანეთთან სხვადასხვა კვლევითი მიმართულების სპეციალისტები და შესთავაზოს მათ აზრთა გაცვლისა და თანამშრომლობის ასპარეზი.

ჟურნალში გამოქვეყნდება ორიგინალური სტატიები, რომლებიც კონცეპტუალურ, ანალიტიკურ, თეორიულ და ემპირიულ კვლევებს მოიცავს.

ჟურნალში პუბლიკაციისთვის წარმოდგენილი ნაშრომი გაივლის ანონიმურ რეცენზირებას.

რეცენზირებისათვის სტატიების წარდგენა, შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. სარედაქციო კოლეგიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სტატიის სარეცენზიო ვარიანტს ავტორმა უნდა დაურთოს აბსტრაქტი ორ ენაზე.

ჟურნალში სტატიები მიიღება გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სხვადასხვა დარგებიდან, ჟურნალი მიესალმება ინტერდისციპლინურ ნაშრომებს.

ელექტრონული ჟურნალი გამოდის წელიწადში ორჯერ.

ინფორმაცია ავტორთათვის

ჟურნალი აქვეყნებს ერთი ან რამდენიმე ავტორის მიერ მომზადებულ პუბლიკაციას.

წარდგინება:

- სტატიის ასატვირთად ავტორი უნდა დარეგისტრირდეს ჟურნალის ვებგვერდზე;
- სტატია უნდა აიტვირთოს MicroSoft Word–ის ფორმატში, არაუმეტეს 1 Mb. ზომისა;
- სტატიის ატვირთვის შემდეგ, ავტორი მიიღებს დადასტურებას მითითებულ ელფოსტაზე;
- სტატიის წარდგენასთან დაკავშირებით, კონკრეტული ინფორმაციისთვის, მიწერეთ სარედაქციო კოლეგიას ელფოსტაზე: gjss@tsu.ge

განხილვა:

- სარედაქციო კოლეგიის დადებითი შეფასების შემდეგ, ნაშრომი გაიგზავნება რეცენზირებაზე.
- სტატიის განხილვის ვადა ორიდან ოთხ თვემდე პერიოდს მოიცავს, თუმცა, რედაქცია მოწოდებულია, ნაშრომი გამოსაქვეყნებლად მინიმალურ ვადაში მოამზადოს.
- სტატიის საბოლოო ვარიანტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 სიტყვას (სათაურის, სქოლიოს, ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის ჩათვლით);

საავტორო უფლებები:

ავტორ(ებ)მა, სტატიის გამოქვეყნებამდე, ხელი უნდა მოაწეროს ხელშეკრულებას საავტორო უფლებების შესახებ (იხ. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ). თუ სტატია შეიცავს ადრე გამოქვეყნებულ მასალას (ტექსტს, სქემებს ან ცხრილებს), ავტორი ვალდებულია, მოიპოვოს წერილობითი ნებართვა საავტორო უფლებების მფლობელისაგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სტილისტურ–ორთოგრაფიული მხარე:

ავტორ(ებ)ი პასუხისმგებელია ტექსტი სტილისტურად და ორთოგრაფიულად გამართოს; სწორად შეარჩიოს სპეციფიკური ტერმინოლოგია; სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილია, სტილისტურად გაუმართავი სტატია არ განიხილოს.

სათაური:

სათაური არ უნდა აღემატებოდეს 15 სიტყვას.

ავტორი:

სტატიას უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი სრულად, ინსტიტუციური აფილაცია, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელფოსტის მისამართი.

აბსტრაქტი:

აბსტრაქტი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. თითოეულ სტატიას უნდა ერთვოდეს ორი აბსტრაქტი ორიგინალისაგან განსხვავებულ ენაზე.

საკვანძო სიტყვები:

ნაშრომს უნდა ერთვოდეს მაქსიმუმ 5 საკვანძო სიტყვა.

ტექსტის გაფორმება და სტილი:

- ფურცლის ზომა – სტანდარტული A4; შრიფტის ზომა – 12; სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,5; ფურცლის არესა და ტექსტს შორის ინტერვალი –1 სმ. *ამ წესის მიხედვით უნდა გაფორმდეს სტატიის ყველა ნაწილი: აბსტრაქტი, სტატია, შენიშვნები, ბიბლიოგრაფია, ცხრილები და სხვ.*
- ტექსტში შესაძლებელია საერთაშორისოდ აღიარებული აბრევიატურების გამოყენება.
- ტექსტი უნდა გაფორმდეს APA –ს უკანასკნელი ვერსიის სტილით. იხილეთ ბმული –

ბიბლიოგრაფია:

ბიბლიოგრაფია უნდა გაფორმდეს შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

წიგნები:

Barrett, D. 2002. *Writing: introduction of sociology*. Cambridge, MA: Greek Art Press.

ჟურნალები:

Simpson, J. W. 1989. “A Conceptual and Historical Basis for Spatial Analysis.” Landscape and Urban Planning 17: 313–21.

გაზეთები და სხვა:

Jorbenadze, J. 2001. Politics Games. New York Times, 17: 1 August.

მადლობა:

იმ პირებისა და ორგანიზაციების სია, რომლებსაც ავტორი უხდის მადლობას, უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს, ბიბლიოგრაფიამდე.

დანართი:

- ცხრილი არ უნდა გადადიოდეს გვერდიდან გვერდზე. ყველა ცხრილი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით და დაერთოს განმარტებითი სათაური. ცხრილში არ უნდა განმეორდეს მონაცემები, რომლებიც შეიძლება სტატიაში, სხვა ადგილზე შეგვხვდეს (დიაგრამაში, ფოტოზე და სხვ).
- ვიზუალური მასალა (ფოტოები, რუკები, დიაგრამები და ა.შ.) უნდა აიტვირთოს ცალკე დოკუმენტად, JPG გაფართოებით.

საბოლოო პროცედურა:

დასაბეჭდად მიღებული და რედაქტირებული ტექსტი გაეგზავნება ავტორს, რომელმაც სტატია 72 საათის განმავლობაში უნდა დააბრუნოს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, შესაძლებელია მიმართვა შემდეგ მისამართზე: gjss@tsu.ge

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი

კავკასია: გარემო და საზოგადოება

სარედაქციო საბჭო:

1. პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი
2. პროფ. დავით კერესელიძე
3. პროფ. ლია მაჭავარიანი
4. ასოც. პროფ. გიორგი მელაძე
5. ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი
6. ასოც. პროფ. თამარ დოლბაია
7. პროფ. ალექსანდრე კუხიანიძე
8. ასოც. პროფ. ვალერიან მელიქიძე
9. ასოც. პროფ. ხათუნა მაისაშვილი

10. ასოც. პროფ. ლია წულაძე
11. პროფ. იოსებ სალუქვაძე

12. პროფ. თეიმურაზ ბერიძე
13. პროფ. ნოდარ ხადური
14. პროფ. იოსებ ხელაშვილი
15. პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი
16. პროფ. ეთერ ხარაიშვილი
17. პროფ. იური ანანიაშვილი
18. ასისტენტ პროფ. გიორგი ღაღანიძე

საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია:

1. ჰეინო მეესენი - ბერნი, შვეიცარია
2. ანდრეას ნუჰარი - ვენა, ავსტრია
3. ვოლფგანგ ვენდე - ბერლინი, გერმანია
4. აშოტ ხოეციანი - ერევანი, სომხეთი
5. რამიზ მამადოვი - ბაქო, აზერბაიჯანი
6. რესეპ ეფე - სტამბოლი, თურქეთი
7. ვიტალი ბრატკოვი - სტავროპოლი, რუსეთი
8. კამრან შაგესტერი - ირანი
9. კირილ ჩისტიაკოვი - სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი
10. კარინა ვამლინგი - მალმო, შვედეთი
11. კონსტანტინ მეზენცევი - კიევი, უკრაინა
12. ლუკა ზარილი - პესკარა, იტალია

ტექნიკური ჯგუფი:
დავით სვანაძე - გეოინფორმაციული სისტემები
მირანდა მიქაძე